თავშესაფრის
მაძიებლის გზამკვლევი ლატვიაში

EUROPEAN UNION
Asylum, Migration and
Integration Fund



დამზადებულია შპს „Due“

შინაარსი:

2 თავშესაფრის მოთხოვნა ლატვიაში
4 თავშესაფრის მოთხოვნის შემდეგ
7 თავშესაფრის მაძიებლის უფლებები
10 თავშესაფრის მაძიებლის მოვალეობები
13 თავშესაფრის მაძიებლის განთავსება
20 თავშესაფრის მაძიებლის დაკავება
22 დაკავებული თავშესაფრის მაძიებლის განთავსება
24 განათლება
26 მედიცინა
27 საცხოვრებელი ადგილი მიმღები ცენტრის გარეთ
28 სოციალური მუშაკისა და სოციალური მენტორის
30 ინტერვიუ
32 თავშესაფრის განცხადების განხილვის წესი
34 გადაწყვეტილების შედავება და გასაჩივრების წესი
39 უფასო იურიდიული დახმარება
40 უფასო იურიდიული დახმარების მოთხოვნის წესი
42 სტატუსის მიღების შემდეგ
44 საბოლოო უარყოფითი გადაწყვეტილება
45 სასარგებლო ბმულები
47 შენიშვნები

შემოკლებული ფორმა

მმსს	მოქალაქეობისა და მიგრაციის საკითხთა სამმართველო
მესაზღვრეები	სახელმწიფო საზღვრის დამცველები
ცენტრი	თავშესაფრის მაძიებლის მიმღები ცენტრი
ეკ	ევროპის კავშირი
სსმს	სახელმწიფო სოციალური მომსახურების

ბროშურა დამზადებულია მოქალაქეობისა და მიგრაციის საკითხთა სამმართველოს მიერ განხორციელებული პროექტის Nr.PMLP/ PMIF/2016/1 ფარგლებში, „მხარდამჭერი ღონისძიებები პირთათვის, რომელთაც ლატვიაში საერთაშორისო დაცვა ესაჭიროებათ, მათი მიღება და განთავსება“, თავშესაფრის, მიგრაციის და ინტეგრაციის ფონდის 2014 – 2020 წლების პროგრამის თანახმად.

თავშესაფრის მოთხოვნა ლატვიაში



1

თქვენ შეგიძლიათ მოითხოვოთ თავშესაფარი ლატვიაში და შეიტანოთ განცხადება, პირადად მიმართოთ სახელმწიფო საზღვრის დამცველებს:

- სახელმწიფო საზღვრის კვეთის ადგილას;
- აეროპორტის ტრანზიტულ ზონაში;
- თუ უკვე ლატვიაში იმყოფებით, მაშინ ახლომდებარე საზღვრის დაცვის განყოფილებაში

ამასთან ერთად, უფლება გაქვთ სურვილი გამოთქვათ თავშესაფრის მიღების შესახებ ლატვიაში

2 მმსს

3 სახელმწიფო პოლიცია

4 დაპატიმრების ადგილი

3 სამუშაო დღე

ეს დაწესებულებები სამი სამუშაო დღის განმავლობაში დაუკავშირდებიან სახელმწიფო მესაზღვრეებს, რათა თქვენ განცხადების შეტანა შესძლოთ

ლატვიაში თავშესაფრის მიღების სურვილი წერილობით ან ზეპირად იმ ენაზე უნდა გამოთქვათ, რომელიც გესმით და რომელი ენითაც შეგიძლიათ კომუნიკაცია. თქვენს მიერ ზეპირად გამოთქმულ სურვილს მესაზღვრეები თქვენი თანდასწრებით ლატვიურ ენაზე წერილობით გააფორმებენ.

დაიმახსოვრე:

განცხადების შეტანის შემდეგ იწყება თქვენი თავშესაფრის მოთხოვნის პროცედურა ლატვიაში - თავშესაფრის მაძიებლად ჩაითვლებით იმ დრომდე, სანამ განცხადების განხილვისას არ იქნება მიღებული საბოლოო გადაწყვეტილება - მოგანიჭონ თუ არა თავშესაფარი.

თუ თქვენ ხართ არასრულწლოვანი თავშესაფრის მაძიებელი თანმხლები პირის გარეშე (მშობლების ან სრულწლოვანი ნათესავების გარეშე), მაშინ სახელმწიფო

თავშესაფრის მოთხოვნის შემდეგ

აგიღებენ თითის ანაბეჭდებს, რომელიც თავშესაფრის პროცედურის განუყოფელი ნაწილია.

პირადობის დამადასტურებელი და სამგზავრო დოკუმენტები უნდა გადასცეთ საზღვრის დამცველებს მანამ, სანამ თავშესაფრის მინიჭების შესახებ არ იქნება მიღებული საბოლოო გადაწყვეტილება. გამონაკლისია ისეთი შემთხვევები, როცა თქვენ გაქვთ კანონიერი საფუძველი იმისა, რომ ლატვიაში იმყოფებოდეთ, მაგალითად: მოქმედი ვიზა ან ბინადრობის უფლება.

თუ თქვენ არ ხართ დაკავებული, მაშინ თქვენ გადმოგეცემათ თავშესაფრის მაძიებლის დამადასტურებელი დოკუმენტი.

თავშესაფრის მაძიებლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით უფლება გეძლევათ ლატვიაში იმყოფებოდეთ, დოკუმენტი არ იძლევა სხვა ქვეყანაში მოგზაურობის ნებართვას. თავშესაფრის პროცედურის დროს თქვენი ლატვიიდან გამგზავრება, შეიძლება ჩაითვალოს როგორც განცხადებაზე უარის თქმა და თქვენი თავშესაფრის პროცედურა ლატვიაში შეიძლება შეწყვეტილი იქნას.

მესაზღვრეები გაგესაუბრებიან, რათა ინფორმაცია მიიღონ თქვენი ინდივიდუალური სიტუაციისა და გარემოებების შესახებ. თქვენს მიერ მოწოდებული ინფორმაცია ოქმში ჩაიწერება.

თქვენს მიერ მოწოდებული ინფორმაცია ჩაწერილი იქნება ასევე აუდიო ან ვიდეო ტექნიკური საშუალებებით, რის შესახებაც ინფორმაციას ცალკე მოგაწვდიან.

დაიმახსოვრე,
რომ მესაზღვრეებს აქვთ შემდეგი უფლებები:

- შეამოწმონ თქვენი პირადი ნივთები;
- ამოიღონ საგნები და დოკუმენტები, რომელთაც შეიძლება განცხადების განხილვისას მნიშვნელობა მიენიჭოს ან რომელიც გიქმნით საფრთხეს თქვენ ან გარშემომყოფთ;
- თუ თქვენ ხართ არასრულწლოვანი თავშესაფრის მაძიებელი თანმხლები პირის გარეშე, თქვენი ნივთები შემოწმებული იქნება თქვენი წარმომადგენლის თანდასწრებით;

- დაინიშნოს დოკუმენტების, საგნების, სასაუბრო ენის, სამედიცინო და სხვა ექსპერტიზები და შემოწმებები
- გადაგიღონ ფოტო.

თავშესაფრის მაძიებლის უფლებები

მესაზღვრეები თქვენს მიერ მოწოდებულ ინფორმაციას გადააგზავნიან მმსს -ში, სადაც შეფასდება, თუ რომელი ეკ წევრი ქვეყანაა პასუხისმგებელი თქვენი განცხადების განხილვაზე. თუ აღიარებული იქნება, ის რომ თქვენი განცხადების განხილვაზე სხვა ევროკავშირის წევრი ქვეყანა არის პასუხისმგებელი, თქვენ გადაგზავნილი იქნებით შესაბამის ქვეყანაში. ევროკავშირის კანონმდებლობის თანახმად, მხოლოდ ერთი ევროკავშირის ქვეყანა განიხილავს თქვენს განცხადებას.

იმისათვის, რომ დადგენილ იქნას პასუხისმგებელი ქვეყანა, მხედველობაში იქნება მიღებული საქმის რამდენიმე გარემოება, მაგალითად, ცხოვრობს თუ არა რომელიმე ოჯახის წევრი ეკ წევრ ქვეყნაში, მოითხოვეთ თუ არა რომელიმე ეკ წევრ ქვეყანაში თავშესაფარი ან ცხოვრობდით თუ არა იქ, ან ხომ არ მოუნჭეზია რომელიმე ეკ წევრ ქვეყანას თქვენთვის ბინადრობის უფლება ან ვიზა, თქვენი მოგზაურობის მარშრუტი წარმოშობის ქვეყნის დატოვების შემდეგ და სხვ.

თუ აღიარებული იქნება, რომ ლატვია არის პასუხისმგებელი ქვეყანა თქვენი განცხადების განხილვაზე, მაშინ თავშესაფრის პროცედურას მმსს-ო გააგრძელებს.

პასუხისმგებელი ქვეყნის განსაზღვრის კრიტერიუმებისა და პროცედურის მსვლელობის შესახებ დაწვრილებით ინფორმაციას, თქვენ მესაზღვრეებისგან თავშესაფრის მოთხოვნის დროს შეიტყობთ.

ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციისთვის თავშესაფრის პროცედურაში ჩართულ ინსტიტუციებთან გამოიყენეთ ის სასაუბრო ენა, რომელიც თქვენთვის გასაგებია ან თვლით, რომ ამ ენას ფლობთ.თქვენ შეგიძლიათ შეიტანოთ დოკუმენტები,რომელიც ეხება თქვენს განცხადებას ან კიდევ სასამართლოში წარსადგენი განაცხადის განხილვას (აუცილებლობის შემთხვევაში გამოყენებული იქნება თარჯიმნის მომსახურება).

მიიღოთ ინფორმაცია თქვენი თავშესაფრის პროცედურის მსვლელობის შესახებ. მიიღოთ თქვენს საქმეზე მიღებული გადაწყვეტილება,მისი გასაჩივრების წესი და სახელმწიფოს მიერ უზრუნველყოფილი უფასო იურიდიული დახმარების მიღების განმარტება იმ ენაზე, რომელსაც თქვენ ფლობთ - იმ გამონაკლისი შემთხვევის გარდა, თუ უკვე გყავთ წარმომადგენელი ან იღებთ იურიდიულ დახმარებას.

აპელაციის პროცედურის დროს მიიღოთ სახელმწიფოს მიერ ანაზღაურებადი უფასო იურიდიული დახმარება გარკვეულ ფარგლებში. იურიდიული დახმარების მისაღებად საკუთრი ხარჯებით მოიწვიოთ პირი თავშესაფრის პროცედურის ნებისმიერ ეტაპზე.

თუ თქვენ თავშესაფრის მაძიებლის დამადასტურებელი დოკუმენტი გაქვთ და მმსს -დან ექვსი თვის განმავლობაში არ მიგიღიათ გადაწყვეტილება ლტოლვილის ან ალტერნატიული სტატუსის მინიჭების ან უარის თქმის შესახებ, უფლება გაქვთ ლატვიაში იმუშავოთ იმ დრომდე, სანამ თქვენს საქმეზე მიღებული საბოლოო გადაწყვეტილება ძალაში შევა. იმისათვის, რომ მუშაობა დაიწყოთ, თავდაპირველად უნდა მიმართოთ მესაზღვრეებს, რათა თავშესაფრის მაძიებლის პირად დოკუმენტში, მუშაობის უფლების ნებართვა დაამატონ.

თავშესაფრის მაძიებლის უფლებები

გარკვეულწილად მიიღოთ სამედიცინო დახმარება.

თავშესაფრის პროცედურის მსვლელობისას თანამდებობის პირი ყურადღებას გაამახვილებს იმაზე, ხომ არ საჭიროებთ განსაკუთრებულ ზრუნვას, თუმცა თქვენი მოვალეობაცაა ინფორმაცია მიაწოდოთ ამის შესახებ.

თუ მესაზღვრეები ან მმსს-ო დაადგენს, რომ თქვენ გაქვთ განსაკუთრებული პროცესუალური ან მიღების საჭიროება, უფლება გეძლევათ პროცედურის ნებისმიერ ეტაპზე საკუთრი უფლებებისა და მოვალეობების გამოსაყენებლად შესაბამისი და სათანადო დახმარება მიიღოთ.

იმ თავშესაფრის მაძიებლად, რომელთაც აქვთ განსაკუთრებული მიღების ან პროცესუალური საჭიროება, შეიძლება ჩაითვალოს, მაგალითად:

- არასრულწლოვანი პირი;
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი;
- ადამიანთა ვაჭრობის მსხვერპლი;
- პირი, რომელიც განსაკუთრებულ ზრუნვას საჭიროებს;
- პირი, რომელიც ძალადობის მსხვერპლია.

დაუკავშირდეს ნათესავებს, გაერთიანებული ერების ორგანიზაციას (ANO) გაეროს ლტოლვილთა უმაღლეს კომისარიატს (UNHCR) ან სხვა ორგანიზაციებს, რომლებიც თავშესაფრის მაძიებლებს იურიდიულ და სხვა სახის კონსულტაციებს უწევენ.

თქვენ ან თქვენს წარმომადგენელს უფლება გაქვთ გაეცნოთ საქმეში არსებულ მასალებს, იმ გამონაკლისი შემთხვევის გარდა, როცა ამ ინფორმაციის გამოაშკარავებამ

შესაძლოა ზიანი მიაყენოს ლატვიის

შესაძლოა ზიანი მიაყენოს იმ პირის უსაფრთხოებას, რომელმაც ეს ინფორმაცია მიაწოდა ან ვისაც ეს ინფორმაცია ეხება.

გამოძიების პროცესში შესაძლოა ზიანი მიაყენოს თავშესაფრის პროცედურაში ჩართულ ორგანოებს, რომელიც განცხადების განხილვასთან არის დაკავშირებული.

თავშესაფრის მაძიებლის მოვალეობები

ითანამშრომლოს თავშესაფრის პროცედურაში ჩართულ ორგანოებთან, მაგ: სახელმწიფო საზღვრის დაცვასთან იმ მიზნით, რომ თითის ანაბეჭდები აიღონ, მოახდინონ თქვენი იდენტიფიცირება და ფოტოს გადაღება; ითანამშრომლოს მმსს -თან რათა მიწოდებული იქნას ყველა სახის ინფორმაცია, რომელიც მნიშვნელოვანია განცხადების განხილვისას.

თუ ხართ 14 წლის ზემოთ, თითების ანაბეჭდები უნდა

მონაწილეობა მიიღოს გასაუბრებასა და ინტერვიუში, პირადად უპასუხოს მისთვის დასმულ შეკითხვებს და შესაძლებლობის ფარგლებში დროულად მიაწოდოს ინფორმაცია*, რომელიც აუცილებელია იმისთვის, რათა განცხადება განიხილონ და მიიღონ შესაფერისი გადაწყვეტილება. მაშინაც კი, თუ გასაუბრების ან ინტერვიუს დროს მონაწილეობას თქვენი წარმომადგენელი იღებს (ასევე მისი მოვალეობაა შეძლებისდაგვარად სწრაფად მიაწოდოს ყველა სახის ინფორმაცია).

*მაგალითად:

- თქვენს ხელთ არსებული დოკუმენტების შესახებ;
- თქვენი იდენტურობის შესახებ;
- ოჯახის წევრების შესახებ;
- წარსულში თქვენი ქმედებებისა და განცხადებების შესახებ;
- იმ მიზეზების შესახებ, თუ რატომ ითხოვთ თავშესაფარს.

საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ინტერესებიდან გამომდინარე, ჩატარებული იქნას სამედიცინო გამოკვლევები - ტუბერკულოზის დიაგნოსტიცირებისთვის, ფილტვების რენტგენოგრაფია და თუ აუცილებელია, მოხდეს ინფექციური დაავადების დიაგნოსტირება.

თავშესაფრის მაძიებლის მოვალეობები

დაიცვას შიდაგანაწესი მიმღებ ცენტრში ან საპატიმრო დაწესებულებაში.

ინფორმაცია მიაწოდოს მმსს-ს და მესაზღვრეებს საცხოვრებელი მისამართისა და მისი შეცვლის შესახებ. თუ თქვენ არ იმყოფებით ცენტრში ან არ ხართ დაკავებული - თქვენს მიერ მითითებული ბოლო საცხოვრებელი ადგილის მისამართს ორგანიზაციები თქვენთან დასაკავშირებლად გამოიყენებენ.

თავშესაფრის მაძიებლის განთავსება

თუ თქვენ არ გაქვთ საკმარისი ფინანსური სახსრები, შესაძლებლობა გეძლევათ ღია ტიპის განთავსების ცენტრის გამოყენებისა.

ცენტრში შემოსვლისას, თქვენ უნდა წარადგინოთ თავშესაფრის მაძიებლის დამადასტურებელი დოკუმენტი.

16

ცენტრი მდებარეობს ლატვიის დედაქალაქის, ქ.რიგიდან 17 კმ -ის მოშორებით. ქ.რიგიდან მიმღებ ცენტრამდე მოძრაობს 16 ნომერი ავტობუსი. საზოგადოებრივი ტრანსპორტის მოძრაობის განრიგი შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ ბმულზე: https://saraksti.rigassatiksme.lv/

არასრულწლოვანი თავშესაფრის მაძიებელი თანმხლები პირის გარეშე შესაძლებელია განთავსებული იქნას ცენტრში, ბავშვთა ზრუნვის ცენტრში ან საობლო სასამართლოს მიერ დანიშნულ მეურვესთან.განთავსების შესახებ გადაწყვეტილებას მმსს - თან შეთანხმებით საობლო სასამართლო მიიღებს, რომელიც მხედველობაში მიიღებს არასრულწლოვანი პირის ინტერესებს.

მიმღები ცენტრის თანამშრომელი:

- გაგაცნობთ ცენტრის შიდაგანაწესს და ხანძარსაწინააღმდეგო წესებს (ხელმისაწვდომია მიმღები ცენტრის ვესტიბიულში და ნათარგმნია სხვადასხვა ენებზე);
- განახებთ თქვენს ოთახს, სამზარეულოს სადაც თქვენთვის და თქვენი ოჯახის წევრებისთვის კერძებს მოამზადებთ, დაგათვალიერებინებთ ცენტრის სხვა ოთახებს, მოგცემთ წვდომის ბარათს და სხვა აუცილებელ ნივთებს;
- გაგაცნობთ საერთო მოხმარების ფართის დასუფთავების გრაფიკს, რის თანახმადაც თქვენ უნდა უზრუნველყოთ სისუფთავე აღნიშნულ ტერიტორიაზე.

საერთო ფართის დასუფთავებაზე პასუხისმგებლობა ცენტრში მაცხოვრებელ ყველა ზრდასრულ პირზეა განაწილებული.

თავშესაფრის მაძიებლის განთავსება



ერთი ოთახში შეიძლება 4-დან 10 კაცამდე განთავსდეს.

იმ ოჯახებისთვის, რომელთაც სკოლამდელი ასაკის ბავშვები ჰყავთ, შეძლებისდაგვარად განთავსებულები არიან კეთილმოწყობილ ოთახებში, საპირფარეშოთი და საშხაპეთი. სხვა დანარჩენმა თავშესაფრის მაძიებლებმა უნდა გამოიყენონ საერთო მოხმარების საშხაპე და საპირფარეშო.

ცენტრის საცხოვრებელი ოთახები აღჭურვილია ორსართულიანი საწოლებით, კარადებით, ტაბურეტებით, მაგიდებით, ასევე საბნებით, ბალიშით, თეთრეულით და ჭურჭლით. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის ხელმისაწვდომია ერთსართულიანი საწოლები.

მიმღებ ცენტრში ხელმისაწვდომია:

● სამზარეულო და ჭურჭელი კერძების მოსამზადებლად

● თეთრეულის დასარეცხი ოთახი (სარეცხის მანქანა, სარეცხის საშრობი და უთო)

● ბიბლიოთეკა

● Wifi და კომპუტერებით აღჭურვილი სასწავლო

● სპორტული (ტრენაჟორების) დარბაზი*

● დასვენების ზონა

● სათამაშო ოთახი შენობაში და ბავშვების სათამაშო მოედანი ცენტრის ტერიტორიაზე

*იმისათვის, რომ კომპუტერული კლასი ან სპორტული დარბაზი გამოიყენოთ, უნდა დარეგისტრირდეთ ცენტრის თანამშრომელთან, მიიღოთ ამ ოთახის გასაღები და მუშაობის ან ვარჯიშის დამთავრების შემდეგ ჩააბაროთ უკან.

თავშესაფრის მაძიებლის განთავსება

თავშესაფრის მაძიებლისადმი განკუთვნილ თანხას ცენტრის თანამშრომელი კვირაში ერთხელ თავშესაფრის მაძიებელს გადასცემს (შვიდი დღისას). ფულის მისაღებად თავშესაფრის მაძიებელმა უნდა წარადგინოს პიროვნების დამადასტურებელი დოკუმენტი.

€ € €

24h

→ → მმსს ცენტრი

იმისათვის, რომ ფინანსური დახმარება მიიღოთ, თქვენ მმსს -ს სახელზე განცხადება უნდა დაწეროთ. განცხადება შეიძლება ცენტრის თანამშრომელსაც გადასცეთ.

!

თუ ცენტრის დატოვებას 24 საათზე მეტი ხნის განმავლობაში გეგმავთ, თქვენი მოვალეობაა ცენტრის თანამშრომელს ინფორმაცია მიაწოდოთ!

თავშესაფრის მაძიებლის განთავსება

1X 7 დღე

თავშესაფრის მაძიებლისადმი განკუთვნილ თანხას ცენტრის თანამშრომელი კვირაში ერთხელ თავშესაფრის მაძიებელს გადასცემს (შვიდი დღისას). ფულის მისაღებად თავშესაფრის მაძიებელმა უნდა წარადგინოს პიროვნების დამადასტურებელი დოკუმენტი.

თავშესაფრის მაძიებლები
რომლებიც ცენტრში ცხოვრობენ
და არიან 18 წელზე უმცროსი ასაკის, ცენტრის
თანამშრომელი ფინანსურ დახმარებას
გადასცემს:
●მისი სრულწლოვანი ოჯახის წევრს;
●თანმხლების გარეშე მყოფ არასრულწლოვანი
პირის დახმარებას, მის კანონიერ წარმომადგენელს.

!

თუ თქვენ ცენტრის
თანამშრომლის ნებართვის
გარეშე 48 საათზე მეტი ხნით
იმყოფებით ცენტრის გარეთ,
თანამშრომელს უფლება აქვს
შეაფასოს თქვენი არყოფნის
ფაქტიური გარემოებები და არ
გადაგიხადოთ თანხა თქვენი
არყოფნის პერიოდის დროს.

48h

ცენტრში ცხოვრებისას, თქვენი მოვალეობაა:

●იზრუნოთ სისუფთავესა
და წესრიგის შენარჩუნებაზე
საცხოვრებელ ოთახში და საერთო
მომსახურების ოთახებში; ნაგავი
გადაყაროთ კონტეინერში და
არ დატოვოთ კარის გვერდით
ან შემოსასვლელში. გასაწმენდი
საშუალებები შეგიძლიათ ცენტრის
ადმინისტრაციაში მიიღოთ.

● იზრუნოთ საკუთარ შვილებზე,
არ დატოვოთ პატარა ბავშვები (0 -7
წლამდე) მეთვალყურეობის გარეშე

●დროულად გამოცხადდეთ
ინტერვიუზე, ასევე ექიმთთან
ვიზიტზე

● დაიცვათ სიჩუმე 23:00 სთ-დან
დილის 7:00 სთ-მდე

● გაუფრთხილდეთ მიღებულ
ნივთებს (თეთრეულს, ჭურჭელს),
რომლებიც ჩაბარებული უნდა
იქნას ცენტრის დატოვების წინ.

● არ დატოვოთ მომზადებული
კერძი მეთვალყურეობის გარეშე
და კერძის მომზადების შემდეგ
დაასუფთავეთ სამზარეულო

● ცენტრიდან გამგზავრების
წინ ჩააბარეთ ყველა მიღებული
ნივთი, მათ შორის გასაღები,
მისაწვდომი ბარათი და
საკუთარი ოთახი სუფთად
დატოვეთ

თავშესაფრის მაძიებლის დაკავება

უნდა გაითვალისწინოთ, რომ თავშესაფრის პროცედურის დროს შეიძლება დაკავებული და განთავსებული იქნათ საზღვრის დაცვის სპეციალურად აღჭურვილ შენობაში ქ.დაუგავპილსში (ან ქ.ლიეპაიაში) იმ შემთხვევაში, თუ:

- აუცილებელია დადგენილ იქნას ან შემოწმდეს თქვენი იდენტურობა ან მოქალაქეობა;
- აუცილებელია გარკვეულ იქნას ფაქტები იმ მიზეზების შესახებ, თუ რატომ ითხოვთ თავშესაფარს, მაგრამ ეს შესაძლებელია მხოლოდ თქვენი დაკავების შემთხვევაში (მაგალითად: სახელმწიფოს საზღვარი უკანონოდ გადაკვეთეთ, გვერდი აუარეთ სასაზღვრო პუნქტს);
- აუცილებელია ლატვიაში შემოსვლისას თქვენი უფლებების დადგენა;

- არსებობს საფუძველი იმისა, რომ თქვენ ლატვიაში თავშესაფარს ითხოვთ მხოლოდ იმიტომ, რომ შეაჩეროთ თქვენი სახელმწიფოდან გაძევება;
- არსებობს საფუძველი იმისა, რომ საფრთხეს უქმნით სახელმწიფოს უსაფრთხოებას ან საზოგადოებრივ წესრიგსა და უსაფრთხოებას;
- დაწყებულია პროცედურა იმის შესახებ, რომ გადაგზავნილი იქნათ იმ ევროკავშირის წევრ ქვეყანაში, რომელიც პასუხისმგებელია თქვენი განცხადების განხილვაზე.

თავდაპირველად შეიძლება დაკავებული იქნათ ექვსი დღე-ღამის განმავლობაში, მაგრამ სასამართლოს გადაწყვეტილებით შესაძლებელია დაკავების ვადა მთლიანად თავშესაფრის პროცედურის განმავლობაში გაგრძელებულ იქნას.

თქვენი დაკავების თაობაზე სახელმწიფო საზღვრის დამცველი ოქმს შეადგენს, გაგიმარტავთ თქვენს უფლებებსა და მოვალეობებს. საპატიმრო დაწესებულებაში გადაყვანამდე შემოწმებული იქნება თქვენი ჯანმრთლობის მდგომარეობა და მოხდება სანიტარული დამუშავება.

დაკავებული თავშესაფრის მაძიებლის განთავსება

საპატიმრო დაწესებულებაში თქვენი განთავსება მოხდება ისე, რომ მხედველობაში მიიღება თქვენი ძირითადი უფლებები და უსაფრთხოება, პიროვნული თავისებურებები და ფსიქოლოგიური შეთავსებადობა, ასევე მხედველობაში იქნება მიღებული შემდეგი პირობები:

- თუ თქვენ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები გაწუხებთ, მაშინ განთავსებული იქნებით სპეციალურად განკუთვნილ ოთახში.
- ოჯახის წევრი განთავსებული იქნება თქვენთან ერთად, იმ გამონაკლის შემთხვევის გარდა, თუ თვითონ ოჯახის წევრი არ არის თანახმა
- თუ თქვენ ხართ არასრულწლოვანი პირი, თქვენთვის უზრუნველყოფილი იქნება განათლება.
- თუ თქვენ ხართ არასრულწლოვანი პირი თანმხლების გარეშე, თქვენთვის უზრუნველყოფილი იქნება როგორც მომსახურე პერსონალი, ასევე ოთახი, სადაც თქვენი ასაკის შესაფრისი აღჭურვილობაა
- ქალებისა და კაცების განთავსება ცალ-ცალკე ხდება
- თუ თქვენს მიმართ საერთაშორისო ძებნაა გამოცხადებული, მაშინ 72 სთ-ს განმავლობაში თქვენ განთავსებული იქნებით სპეციალურად ასეთი შემთხვევისთვის განკუთვნილ ოთახში.
- გამონაკლის შემთხვევაში, თუ თქვენ არ იცავთ შიდაგანაწესს ან საფრთხეს უქმნით სხვა თავშესაფრის მაძიებლების უსაფრთხოებას, შესაძლებელია 10 დღე-ღამის განმავლობაში განთავსებული იქნათ ასეთი შემთხვევისთვის განკუთვნილ ოთახში.

10 დღე

72h

სახელმწიფო საზღვრის დაცვა თავშესაფრის მაძიებლებს საპატიმრო დაწესებულებაში უზრუნველყოფენ საკვებით, ნებისმიერ დროს დასალევი წყლით, ასევე ჰიგიენისა და პირველადი დახმარების ნივთებით, აუცილებისამებრ გაგეწევათ სამედიცინო დახმარება.

!

საპატიმრო დაწესებულებაში ყოფნისას, თქვენ უნდა დაიცვათ შიდაგანაწესი, რომელსაც თქვენ გაგაცნობენ.

განათლება

არასრულწლოვან თავშესაფრის მაძიებელს უფლება აქვს მიიღოს დაწყებითი და საშუალო სკოლის განათლება, ასევე სრულწლოვანად გახდომის შემდეგაც გააგრძელოს განათლების მიღება.

იმისათვის, რომ არასრულწლოვანი თავშესაფრის მაძიებელი სკოლაში მიიყვანონ, მისმა მშობლებმა ან კანონიერმა წარმომადგენელმა მიმღები ცენტრის სახელზე უნდა შეიტანოს განცხადება ან თუ დაპატიმრებულია, მესაზღვრეების სახელზე.

ლატვიაში განათლების მიღება აუცილებელია 5 -დან 17 წლის ასაკამდე, მასში შედის ბავშვის სკოლამდელი, დაწყებითი სწავლება, დაწყებითი განათლების მიღება ან მისი გაგრძელება სრულწლოვანობის ასაკის მიღწევამდე.

დაიცავით ბავშვის ინტერესები და დაგეგმეთ მისთვის მშვიდი საღამო, რათა მეორე დილით სკოლაში არ ინერვიულოს!

განათლების და მეცნიერების სამინისტრო გადაწყვეტს თუ რომელ სკოლაში ისწავლის არასრულწლოვანი თავშესაფრის მაძიებელი.

სკოლაში სიარული აუცილებელია, გაკვეთილების არასაპატიო მიზეზით გაცდენის გამო სკოლაში შეიძლება ბავშვთა უფლებების დამცველი, პოლიცია ან საობლო სასამართლოს წარმომადგენელი მივიდეს. თუ ბავშვი ავად გახდა, უნდა მიმართოთ ექიმს, რათა სკოლაში არყოფნა საპატიო მიზეზად ჩაითვალოს.

მედიცინა

თუ ცენტრში ან მესაზღვრეების საპატიმრო დაწესებულებაში ყოფნისას გესაჭიროებათ სამედიცინო დახმარება, უნდა დაუკავშირდეთ დაწესებულების თანამშრომელს ან ექთანს, რომელიც ორგანიზაციას გაუწევს თქვენს ჯანმრთლობაზე ზრუნვას.

თქვენ უფლება გაქვთ მიიღოთ სახელმწიფოს მიერ ანაზღაურებადი:

- გადაუდებელი სამედიცინო დახმარება;
- ფეხმძიმობაზე ზრუნვა და სამშობიარო სახლი;
- გადაუდებელ შემთხვევაში სტომატოლოგის დახმარება;
- პირველადი ჯანდაცვის მომსახურება (მაგალითად: ოჯახის ექიმის კონსულტაცია);
- ამბულატორიული მკურნალობისთვის გათვალისწინებული სახელმწიფო ბიუჯეტიდან ანაზღაურებადი მედიკამენტები და სამედიცინო მოწყობილობები;
- ფსიქიატრის კონსულტაცია;
- სამედიცინო დახმარება არასრულწლოვანს;
- ამბოლატორულად სასწრაფოდ გადაუდებელი დახმარება;
- საშიში ინფექციური დაავადების შემთხვევაში მომსახურება და ტუბერკულოზის მკურნალობისთვის აუცილებელი მედიკამენტები.

თუ სპეციალისტთან ხართ ჩაწერილი გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ მიღების დრო მკაცრად არის დაწესებული. არგამოცხადების შემთხვევაში, ექიმთან ჩაწერა თავიდან მოხდება, აქედან გამომდინარე, შესაძლებელია ექიმის დახმარება

თუ თქვენს მიერ არჩეულ მისამართზე ცხოვრობთ, უფლება გაქვთ გადაუდებელი სამედიცინო დახმარება, ოჯახის ექიმის კონსულტაცია და ასევე, ჯანმრთლობაზე ზრუნვის სხვა მომსახურება გამოიყენოთ. **თუ თქვენს ჯანმრთელობას საფრთხე ემუქრება, გამოიძახეთ სასწრაფო სამედიცინო დახმარება, დარეკეთ ტელეფონის ნომერზე 113.**

საცხოვრებელი ადგილი თავშესაფრის მაძიებელთა მიმღები ცენტრის გარეთ

თუ თქვენ არ ხართ დაპატიმრებული, უფლება გაქვთ თქვენს მიერ არჩეულ მისამართზე, ცენტრის ფარგლებს გარეთ იცხოვროთ და ამის შესახებ აცნობოთ მესაზღვრეებს. საცხოვრებელი ადგილის მისამართის შეცვლისას, ასევე ინფორმაცია უნდა მიაწოდოთ მმსს-ს წარმომადგენლებს.

თქვენს მიერ არჩეულ საცხოვრებელი ფართის იჯარას საკუთარი ხარჯებით დაფარავთ. ცენტრის ფარგლებს გარეთ ცხოვრებისას, თქვენ არ იღებთ ფინანსურ დახმარებას და ყოველდღიურ თანხას.

სოციალური მუშაკის და
სოციალური მენტორის მხარდაჭერა

როგორც თავშესაფრის მაძიებლებს, ასევე ლტოლვილებს და პირებს რომელთაც აქვთ ალტერნატიული სტატუსი, შესაძლებლობა ეძლევათ სოციალური მუშაკისა და სოციალური მენტორის მომსახურება მიიღონ.

სოციალური მუშაკები
და სოციალური მენტორები
იქნებიან თქვენი მრჩეველები, კონსულტანტები, გამამხნევებლები, მხარდამჭერები და დამცველები, ისინი ითანამშრომლებენ თქვენთან და თქვენი ოჯახის წევრებთან, დაგეხმარებიან პრობლემის გადაწყვეტის გზების პოვნაში, რათა კომფორტულად იგრძნოთ თავი

თავშესაფრის პროცედურის დროს თქვენ შეგიძლიათ სოციალური მუშაკის და სოციალური მენტორის მხარდაჭერა მიიღოთ. თუ თქვენ მოგენიჭათ ლტოლვილის ან ალტერნატიული სტატუსი, ასეთ დახმარებას მიღებას კიდევ 12 თვის განმავლობაში შესძლებთ.

სოციალური მუშაკის და
სოციალური მენტორის მთავარი
დავალებაა:

- გააცნობიერონ თქვენი მოთხ ოვნილებები და სურვილები ლატვიაში ცხოვრების საწყის ეტაპზე;
- საშუალოდ, ცენტრში შემოსვლიდან 3 სამუშაო დღის განმავლობაში ორგანიზება გაუკეთონ თქვენთან და თქვენი ოჯახის წევრებთან გასაუბრებას;
- შეიმუშავონ ინდივიდუალური სოციალეკონომიური გეგმა, რეგულარულად შეგხვდეთ და გესაუბროთ თქვენ და თქვენი ოჯახის წევრს გეგმის განხორციელების პროგრესთან დაკავშირებით;
- დაგეხმარონ ზოგიერთი პრობლემის ალტერნატიული გზების პოვნაში, საჭირო რესურსების მოზიდვასა და რჩევებში;
- დახმარება გაგიწიონ ყოველდღიური სიტუაციის მოგვარებაში, დაგეხმარონ ლატვიის საზოგადოებრივი ცხოვრების გააზრებაში;
- დაგეხმაროთ ყოველდღიური ცხოვრებისათვის საჭირო ცოდნის შეძენაში; სოციალურ მხარდაჭერის ქსელის შექმნასა და გაფართოებაში;
- დაგეხმარონ ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან ურთიერთობაში;
- დახმარება გაგიწიონ პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის აღების და საბანკო ანგარიშის გახსნის პროცესში;
- ინფორმაცია მოგაწოდონ დახმარების მიღების წესის შესახებ;
- უზრუნველყონ გამყოლი, სადაც თქვენ ან/და თქვენი შვილი ისწავლის, იმუშავებს ან მიიღებს სათანადო მომსახურებას;
- უზრუნველყონ გამყოლი ჰუმანური დახმარების პუნქტებთან ტანსაცმლის, ფეხსაცმლის და სხვ. ნივთების მიღებაში;
- უზრუნველყონ გამყოლი ბავშვის და მშობლის სკოლაში მისასვლელად, დაგეხმარონ თქვენსა და სკოლის პედაგოგებს შორის ურთიერთობის ჩამოყალიბებაში;
- არსებული რესურსებიდან გამომდინარე, დაგეხმარონ ბინის მოძებნაში და საიჯარო ხელშეკრულების გაფორმებაში;
- დაგეხმარონ სახელმწიფო დასაქმების სააგენტოში და ოჯახის ექიმთან დარეგისტრირებაში;
- წარმოადგინონ თქვენი ინტერესები და უფლებები სხვა ინსტიტუციებში;
- მოიწვიონ თარჯიმანი სოციალეკონომიური ჩართულობის გეგმის განსახორციელებლად.

სოციალური მუშაკისა და
სოციალური მენტორის დახმარება
ხელმისაწვდომია
როგორც ცენტრში მცხოვრები
თავშესაფრის მაძიებლებისთვის, ასევე
იმ თავშესაფრის მაძიებლებისთვის,
რომლებიც ცენტრის ფარგლებს
გარეთ ცხოვრობენ.

სოციალური მუშაკისდა სოციალური მენტორის მომსახურებას უზრუნველყოფს საზოგადოების ინტეგრაციის ფონდის პროექტი „მრავალფეროვნების პოპულაცია“. კითხვების ან გაურკვევლობის შემთხვევაში გთხოვთ დაუკავშირდეთ საზოგადოების ინტეგრაციის ფონდს.

ინტერვიუ

თავშესაფრის მოთხოვნის შესახებ განცხადების მიღების შემდეგ, მმსს-ს თანამშრომელი თქვენთან ინტერვიუს ჩაწერს.

გასაუბრების პროცედურის შესახებმოკლე დროში გაცნობებენ. ასევე გაიცნობთ იმ პირებს,რომლებიც ინტერვიუს ჩაწერაში მონაწილეობას მიიღებენ.

ინტერვიუს დრო და ადგილი მითითებული იქნება გადაწყვეტილებაში თქვენი განცხადების განსახილველად მიღების თაობაზე.

ინტერვიუს დროს თქვენ შესაძლებლობა გექნებათ დაწვრილებითი ინფორმაცია მიაწოდოთ, თუ რატომ დატოვეთ წარმომობის ქვეყანა ან ყოფილი საცხოვრებელი ადგილი და თავშესაფარს ითხოვთ. თქვენ შეგეძლებათ დამატებითად დოკუმენტებისა და მტკიცებულებების შეტანა, რომელიც დაადასტურებს თქვენს მიერ მოწოდებულ ინფორმაციას. უფლება გექნებათ თავისუფლად ისაუბროთ საკუთარი საქმის გარემოებებზე, მაგრამ თქვენი მოვალეობა იქნება პასუხი გასცეთ დასმულ შეკითხვებს.

ინტერვიუს დროს უზრუნველყოფილი იქნებით თარჯიმნის მომსახურებით, რათა შესძლოთ იმ ენაზე ინფორმაციის მიწოდება, რომელსაც ფლობთ.

ინტერვიუს შემდეგ ინფორმაციას მოგაწვდიან იმის შესახებ, თუ რა მიმართულებით წარიმართება მომავალში თქვენი საქმე, ამასთან ერთად შეგეძლებათ დამატებით, საქმესთან დაკავშირებით თქვენთვის საინტერესო კითხვების დასმა.

ინტერვიუს შეიძლება თქვენი წარმომადგენელიც ესწრებოდეს

თუ თქვენ არასრულწლოვანი თავშესაფრის მაძიებელი ხართ, ინტერვიუ თქვენი წარმომადგენლის თანდასწრებით ჩაიწერება.

ინტერვიუ ჩატარდება თქვენი ოჯახის წევრების თანხლების გარეშე, თუ არ იქნება მიღებული გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ zუცილებელია მათი დასწრება.

თავშესაფრის პროცედურაში ჩართული ორგანიზაციის წარმომადგენლებს ინტერვიუს ჩაწერის დროს უფლება აქვთ მონაწილეობა მიიღონ და დამატებითი შეკითხვები დაგისვან.

თქვენს მიერ მიწოდებული ინფორმაცია დაფიქსირებული იქნება აუდიო ან ვიდეო ჩანაწერით, რის შესახებაც ინფორმაციას ცალკე

თავშესაფრის განცხადების განხილვის წესი*



* Nr.1 სქემაში მოცემულია თავშესაფრის განცხადების განხილვა ჩვეულებრივი წესით.

გადაწყვეტილების შედავებისა და გასაჩივრების წესი

მმსს-ის მიერ მიღებული გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრებული იქნას ადმინისტრაციულ რაიონულ სასამართლოში (იხ. Nr.2 სქემა) თქვენი განთავსების ადგილის ან საცხოვრებელი ადგილის მისამართების მიხედვით ან გასაჩივრდეს შინაგან საქმეთა სამინისტროში (იხ. Nr.3 სქემა)

თუ თქვენ არ ეთანხმებით მიღებულ გადაწყვეტილებას, ყოველი გადაწყვეტილების ტექსტის ბოლოში მითითებულია ინფორმაცია იმის შესახებ, სად და რამდენი ხნის განმავლობაში შეგიძლიათ გადაწყვეტილების შედავება და გასაჩივრება.

ადმინისტრაციული სასამართლოს მისამართით დაწერილი განაცხადი უნდა შეიტანოთ მმსს-ში, რომელსაც ერთი სამუშაო დღის განმავლობაში თქვენი საქმის მასალებთან ერთად სასამართლოში გადააგზავნიან.

!

სასამართლოში განაცხადის შეტანის გამო, თქვენ როგორც თავშესაფრის მაძიებელი განთავისუფლებული ხართ სახელმწიფო ბაჟის გადასახადისგან.

Nr.2 სქემა

თუ თქვენ არ ეთანხმებით მმსს-ს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას:

- თქვენს გადაგზავნას ევრო კავშირის სხვა წევრ ქვეყანაში — 15 სამუშაო დღე
  - თუ თქვენ დაგაკავეს — 5 სამუშაო დღე
- თქვენი განცხადების განხილველად დატოვება — 15 სამუშაო დღე
  - თუ თქვენ დაგაკავეს — 5 სამუშაო დღე
- უარის თქმა ლტოლვილის სტატუსის მინიჭებაზე, ალტერნატიული სტატუსის მინიჭება — 1 თვე
- უარის თქმა ლტოლვილისა და ალტერნატიული სტატუსის მინიჭებაზე ჩვეულებრივი წესით — 1 თვე
  - შემოკლებული წესით — 15 სამუშაო დღე
- განცხადების განხილვის შეწყვეტა — 15 სამუშაო დღე
  - თქვენ შეგიძლიათ მმსს-გან განცხადების განმეორებითი განხილვა მოითხოვოთ — 9 თვე
- უარის თქმა განცხადების განმეორებით განხილვაზე — 15 სამუშაო დღე
- ლტოლვილისა ან ალტერნატიული სტატუსის ჩამორთმევა, დაკარგვა — 1 თვე

შეგიძლიათ ადმინისტრაციულ რაიონულ სასამართლოში გაასაჩივროთ

ადმინისტრაციულ რაიონულ სასამართლოში მმსს-ს მიერ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების გამო, თავშესაფრის მაძიებლების ფინანსური მდგომარეობის შეფასებიდან გამომდინარე, სახელმწიფოს მიერ უზრუნველყოფილი იქნება უფასო იურიდიული დახმარება. **სასამართლოს განაჩენი საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება.**

გადაწყვეტილების შედავებისა და გასაჩივრების წესი

Nr. 3
სქემა

თუ თქვენ არ ეთანხმებით მმსს -ს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას:

- განცხადების განხილვის ვადის გაგრძელებაზე
- პირადი ინტერვიუს ჩატარების ვადის გაგრძელებას
- უარის თქმას ფულადი დახმარების და ყოველდღიური თანხის მინიჭებაზე
- სტატუსის მიღების შემდეგ უარის თქმას ერთჯერად დახმარების გადარიცხვაზე

1 თვე

ის შეიძლება გასაჩივრებული

1 თვე

თუ თქვენ არ გაკმაყოფილებთ შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ მიღებული

თქვენ შეგიძლიათ გაასაჩივროთ ადმინისტრაციულ რაიონულ სასამართლოში

* სახელმწიფოს მიერ უზრუნველყოფილი უფასო იურიდიული დახმარება ხელმისაწვდომია, თუ შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ მიღებული გადაწყვეტილება გასაჩივრებული იქნება ადმინისტრაციულ რაიონულ სასამართლოში

Nr.4
სქემა

თუ თქვენ არ ეთანხმებით მესაზღვრეების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას:

დაპატიმრების გამო

48 საათიანი

მოვალეობას, კონკრეტულად დადგენილ დროს საზღვრის დაცვის განყოფილებაში დარეგისტრირებას

7 სამუშაო დღე

შეგიძლიათ საზღვრის დაცვის უფროსის სახელზე

7 სამუშაო დღე

შეგიძლიათ გაასაჩივროთ რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში

გაასაჩივროთ რაიონული (საქალაქო) სასამართლოში საზღვრის დაცვის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები, სახელმწიფოს მიერ უზრუნველყოფილი იურიდიული დახმარება თავშესაფრის მაძიებელს ეძლევა მისი ფინანსური მდგომარეობის შეფასების გარეშე

* სახელმწიფოს მიერ უზრუნველყოფილი უფასო იურიდიული დახმარება ხელმისაწვდომია, თუ შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ მიღებული გადაწყვეტილება გასაჩივრებული იქნება ადმინისტრაციულ რაიონულ სასამართლოში

გადაწყვეტილების შედავებისა და გასაჩივრების წესი

თქვენს საქმეზე გადაწყვეტილებას სსდს-ო მიიღებს, რომელიც ლტოლვილისა და ალტერნატული სტატუსის მიღების შემდეგ დახმარებას გადმორიცხავს.

თუ თქვენ არ ეთანხმებით სსდს-ის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას

↓

უარის თქმა ლტოლვილის ან ალტერნატიული სტატუსის მიღების შემდეგ დახმარების გადარიცხვაზე.

↓

შეგიძლიათ კეთილდღეობის სამინისტროში გაასაჩივროთ — 1 თვე

↓

თუ არ გაკმაყოფილებთ კეთილდღეობის სამინისტროს მიერ მიღებული გადაწყვეტილება — 1 თვე

↓

შეგიძლიათ ადმინისტრაციულ რაიონულ სასამართლოში გაასაჩივროთ

უფასო იურიდიული დახმარება

§

იმ შემთხვევაში, თუ თქვენ არ გაქვთ საკმარისი ფინანსური სახსრები, უფლება გაქვთ სახელმწიფოს მიერ უზრუნველყოფილი უფასო იურიდიული დახმარება მოითხოვოთ.

€

სახელმწიფო ერთი საქმის ფარგლებში იურიდიული დახმარების გაწევისთვის ფინანსურ ხარჯებს შემდეგი ოდენობით აანაზღაურებს:

- იურიდიული კონსულტაციისთვის სასამართლოს მიღმა და სამართალწარმოების ეტაპზე, არაუმეტეს ხუთი საათისა;
- სასამართლოს მიღმა და სამართალწარმოების ეტაპზე არაუმეტეს ხუთი პროცესუალური დოკუმენტის შედგენას;
- სასამართლოში წარმომადგენლობაზე არაუმეტეს 40 საათისა.

უფასო იურიდიული
დახმარების მოთხოვნის წესი

იურიდიული დახმარების მისაღებად უნდა შეიტანოთ წერილობითი მოთხოვნა - შევსებული ანკეტა. მასში უნდა მიუთითოთ ცნობა თქვენს შესახებ; იმ გადაწყვეტილების შესახებ, რომლის გასაჩივრებასაც აპირებთ; იმის შესახებ, რომ თქვენ არ გაქვთ ფინანსური სახსრები და ამიტომ აუცილებელია სახელმწიფოს მიერ უზრუნველყოფილი უფასო იურიდიული დახმარების მიღება. (ანკეტა ხათარგმნია სხვადასხვა ენებზე და შეგიძლიათ მოითხოვოთ იმ ენაზე, რომელზეც არსებობს საფუძველი იმისა, რომ თქვენ ამ ენას ფლობთ).

თუ დაკავებული არ ხართ, მაშინ ანკეტა მმსს-ში უნდა შეიტანოთ,

რომელიც შემდეგ ანკეტას იურიდიული დახმარების ადმინისტრაციაში გადააგზავნის და ასევე უზრუნველყოფს თარჯიმნის მომსახურებას, რომელიც დახმარებას გაგიწევთ იურიდიულ პირთან საუბარში.

როდესაც იურიდიული დახმარების ადმინისტრაცია წარმომადგენელს დაგინიშნავთ, ის მმსს-ს ინფორმაციას მიაწვდის იმის შესახებ, თუ სად და როდის მოხდება თქვენი შეხვედრა, რათა მმსს-მა თარჯიმნის მომსახურება უზრუნველყოს.

თუ თქვენ დაკავებული ხართ,

ასეთი ანკეტა უნდა წარუდგინოთ სახელმწიფო საზღვრის დაცვას.

მესაზღვრეების მიერ დაპატიმრების შესახებ მიღებული გადაწყვეტილება თქვენ შეგიძლიათ რაიონულ (საქალაქო)სასამართლოში გაასაჩივროთ. ამ გადაწყვეტილების გასაჩივრების გამო თქვენ შეგიძლიათ სახელმწიფოს მიერ უზრუნველყოფილი იურიდიული დახმარება და ასევე იურიდიულ პირთან სასაუბროდ, თარჯიმნის მომსახურება გამოიყენოთ.

მმსს-ს მიერ მიღებული გადაწყვეტილება სტატუსის მინიჭების ან უარის თქმის შესახებ, დაპატიმრების მისამართის მიხედვით თქვენ შეგიძლიათ გაასაჩივროთ ადმინისტრაციულ რაიონულ სასამართლოში. თქვენი მოთხოვნის თანახმად, მესაზღვრეები ორგანიზაციას გაუწევენ სახელწიფოს მიერ უზრუნველყოფილი იურიდიული

სტატუსის მინიჭების შემდეგ

ლტოლვილის სტატუსი:

● თქვენ გადმოგეცემათ სამგზავრო დოკუმენტი (პასპორტი), რომელიც ძალაში იქნება ყველა ქვეყანაში, გარდა თქვენი წარმოშობის ქვეყნისა

ლატვიაში გაცემული სამგზარო დოკუმენტის მიღების შემდეგ, თქვენს ხელთ არსებული საზღვარგარეთ გაცემული პირადობის დამადასტურებელი და სამგზავრო დოკუმენტები,

პირველ სამგზავრო დოკუმენტს და ბინადრობის უფლებას უფასოდ მიიღებთ.

● თქვენ გადმოგეცემათ მუდმივი ბინადრობის უფლება, რომელიც უნდა დაარეგისტრიროთ მმსს -ში ყოველ ხუთ წელიწადში ერთხელ

ლატვიაში ბინადრობის ნებართვა უფლებას გაძლევთ ლატვიაში ყოველგვარი

● თქვენ უფლება გეძლევათ შეუერთდეთ თქვენი ოჯახის წევრებს, რომლებიც საზღვარგარეთ იმყოფებიან

ლტოლვილის ოჯახის წევრებს მუდმივი ბინადრობის ნებართვა გადაეცემათ, ხოლო ალტერნატიული სტატუსის მქონე პირის ოჯახის წევრებს დროებითი ბინადრობის ნებართვა, იგივე ვადით როგორც ალტერნატიული სტატუსის მქონე პირს.

● თუ თქვენ არ გაგაჩნიათ საკმარისი ფინანსური სახსრები, უფლება გაქვთ მიიღოთ ერთჯერადი ფინანსური დახმარება (ერთჯერადი დახმარება) და შემწეობა ცხოვრების ხარჯების დასაფარავად (შემწეობა); ლტოლვილს უფლება აქვს დახმარება 10 თვის განმავლობაში მიიღოს, ხოლო ალტერნატიული სტატუსის მფლობელ პირს კი, 7 თვის განმავლობაში.

ალტერნატიული სტატუსი:

● თუ თქვენ არ შეგიძლიათ მიიღოთ წარმოშობის ქვეყნის მიერ გაცემული სამგზავრო დოკუმენტი, თქვენ გადმოგეცემათ სამგზავრო დოკუმენტი (პასპორტი)

● თქვენ გადმოგეცემათ დროებითი ბინადრობის უფლება. იმისათვის, რომ ლატვიაში ბინადრობა გააგრძელოთ, თქვენ ყოველ წელს ერთი თვით ადრე უნდა მიმართოთ მმსს -ს, რომელიც შეაფასებს, მოგანიჭონ თუ არა ხელმეორედ დროებითი ბინადრობის უფლება

● მას შემდეგ, რაც ორი წლის განმავლობაში იცხოვრებთ ლატვიაში, უფლება გეძლებათ საზღვარგარეთ მყოფ ოჯახის წევრებს შეუერთდეთ

ერთჯერადი დახმარების ოდენობა ზრდასრულ პირზე შეადგენს - 278,00 ევროს და არასრულწლოვანი პირისთვის კი -194,00 ევროს, მაგრამ თუ თქვენ ხართ ცოლი და ქმარი მაშინ ერთჯერადი დახმარება ერთი პირისთვის შეადგენს 278,00 ევროს, მეორესთვის კი 194 ევროს, რის შესახებაც თქვენ თვითონ უნდა შეთანხმდეთ და უნდა მიუთითოთ განცხადებაში. ამ დახმარებას მმსს-ო გადმორიცხავს.

დახმარების ოდენობა ზრდასრულ პირზე შეადგენს თვეში139,00 ევროს, არასრულწლოვან პირზე კი - 97,00 ევროს თვეში, მაგრამ თუ თქვენ ხართ ცოლი და ქმარი, მაშინ ერთ-ერთი თქვენგანისთვის იქნება -139,00 ევრო, ხოლო მეორესთვის - 97,00 ევრო თვეში, რის შესახებაც თქვენ ერთმანეთთან უნდა შეთანხმდეთ და განცხადებაში მიუთითოთ. ამ დახმარებას სსდს-ო გადმორიცხავს.

იმისათვის, რომ ერთჯერადი დახმარება ან/და შემწეობა მიიღოთ, თქვენ უნდა გახსნათ პირადი ანგარიში ლატვიის ნებისმიერ საკრედიტო დაწესებულებაში ან ლატვიის ფოსტაში. ერთჯერადი დახმარება ან/და შემწეობა არასრულწლოვანი პირისთვის გადაერიცხება მის კანონიერ წარმომადგენელს. იმისათვის, რომ მიიღოთ დამატებითი ინფორმაცია ან დახმარება განცხადების შესადგენად, თქვენ შეგიძლიათ შესაბამის სამსახურს (ასევე ცენტრს) ან სოციალურ მენტორს მიმართოთ.

იმისათვის, რომ ერთჯერადი დახმარება მიიღოთ, ერთი თვის განმავლობაში იმ დღიდან, როდესაც მიღებული იქნა გადაწყვეტილება ლტოლვილის ან ალტერნატიული სტატუსის მინიჭების შესახებ, განცხადების საშუალებით, პირადად უნდა მიმართოთ მმსს-ს. იმისათვის, რომ დახმარება მიიღოთ, ლტოლვილის ან ალტერნატიული სტატუსის მინიჭებიდან 12 თვის ვადაში, განცხადების საშუალებით უნდა მიმართოთ სსდს-ს. როგორც ერთჯერადი დახმარების განცხადებაში, ასევე შემწეობის მისაღებად თქვენ უნდა დაადასტუროთ, რომ თქვენს ხელთ არსებული ფინანსური სახსრები არაღემატება ლატვიაში დადგენილ მინიმალური ხელფასის ოდენობას თითოეულ პირზე, რომლის გამოც ხდება ერთჯერადი დახმარების ან შემწეობის მიღება.

15 წლის ასაკიდან პენსიის ასაკამდე სახელმწიფო დახმარებას შემდეგ შემთხვევებში დანიშნავს:
- თუ პირი მუშაობს;
- თუ პირი არ მუშაობს და ის დარეგისტრირდა დასაქმების სახელმწიფო სააგენტოში, რომელსაც აქვს უმუშევრობის ან სამუშაოს მაძიებლის სტატუსი და ის ასრულებს უმუშევარის ან სამუშაოს მძებნელის მოვალეობებს, ამასთან ერთად დასაქმებულია სახელმწიფო ენის შემსწავლელ პროგრამაში (თუ პირს აქვს I ან II ჯგუფის ინვალიდობა ან ის ლატვიის საგანმანათლებო დაწესებულებაში დასწრებულ განყოფილებაზე სწავლობს, სახელმწიფოს დასაქმების საგენტოში დარეგისტრირება არ არის აუცილებელი.

საბოლოო უარყოფითი გადაწყვეტილება

თუ თქვენ უარი გეთქვათ ლტოლვილის ან ალტერნატიული სტატუსის მინიჭებაზე (მმსს -ს ან სასამართლოს გადაწყვეტილებით, თუ თქვენ მმსს -ის მიერ მიღებული გადაწყვეტილება გაასაჩივრეთ სასამართლოში) და თქვენ არ გაქვთ სხვა კანონიერი საფუძველი იმისათვის, რომ ლატვიაში იმყოფებოდეთ, გადმოგეცემათ სახელმწიფოს დატოვების ბრძანება ან მიღებული იქნება გადაწყვეტილება იძულებით განსახლებასთან დაკავშირებით.



სახელმწიფოს დატოვების ბრძანებაში ვადა შეიძლება 7 დღიდან 30 დღემდე განისაზღვროს. თქვენ უფლება გაქვთ ქვეყანა უფრო ადრე დატოვოთ, ვიდრე ეს გამგზავრების ბრძანებაში არის მითითებული. უფლება გაქვთ დახმარებისთვის მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციას მიმართოთ, რათა სამშობლოში ნებაყოფლობით დაგაბრუნონ.

სასარგებლო ბმულები

1

Pilsonības un migrācijas lietu pārvalde

მოქალაქეობისა და მიგრაციის საკითხთა სამმართველო

ჩეკურკალნის პირველი ხაზი 1, მე-3 კორპ., ქ.რიგა, LV-1026
ტელ.ინფორმაციისთვის (+371) 67588675
ფაქსი: (+371) 67829825,
ელ-ფოსტა: pmlp@pmlp.gov.lv
ვებ-გვერდი: www.pmlp.gov.lv
facebook.com/IeM.PMLP
twitter.com/IeM_PMLP

2

თავშესაფრის საკითხთა განყოფილების გასაუბრების კაბინეტი სტაბუს ქუჩა 89, ქ.რიგა, LV - 1009

3

თავშესაფრის მაძიებელთა მიმღები ცენტრი მუცენიეკი, როპაჟის მხარე, LV-2137

Valsts robežsardze

სახელმწიფო საზღვრის დაცვა

მთავარი სამმართველო
რუდოლფას ქუჩა 5, ქ.რიგა, LV-1012
ტელ.: (+371) 67075617, (+371) 67075739,
ფაქსი: (+371) 67075600,
ელ-ფოსტა: robezsardze@rs.gov.lv
www.rs.gov.lv

4

სახელმწიფო საზღვრის დაცვის დაუგავპილსის სამმართველო
დაკავებული უცხოელის განთავსების ცენტრი ა.პუმპურის ქუჩა 105ბ, ქ.დაუგავპილს, LV-5417

5

6

Juridiskās Palīdzības administrācija

იურიდიული დახმარების სამსახური

პილს ლაუკუმს 4, ქ.რიგა, LV-1050
უფასო საინფორმაციო ტელ: 80001801
ელ-ფოსტა: jpa@jpa.gov.lv
www.jpa.gov.lv
twitter.com/JPA_lv

7

Sabiedrības integrācijas fonds

საზოგადოების ინტეგრაციის ფონდი

ასპაზიას ბულვარი 24, მე-3 სართული, ქ.რიგა, LV-1050
ტელ.: (+371) 67078226 (LV, ENG, RUS)
ელ-ფოსტა: info@sif.gov.lv
www.sif.gov.lv
facebook.com/საზოგადოების ინტეგრაციის ფონდი-1473806282831644/
facebook.com/Society-Integration-Foundation-619832468031137/
twitter.com/siflv

სასარგებლო ბმულები

8

Patvērumu DROŠĀ MĀJA

არასამთავრობო ორგანიზაცია
„თავშესაფარი
„უსაფრთხო სახლი““
ლაჩპლესას ქუჩა 75-9/10, ქ.რიგა, LV-1011
ტელ: (+371) 67898343,
(+371) 28612120, (+371) 25565098
ელ-ფოსტა: drosa.maja@gmail.com
www.patverums-dm.lv
www.beglis.lv/www.refugees.lv
facebook.com/Patverums.Drosa.Maja
twitter.com/PatverumsDM

9

International Organization for Migration (IOM)

მიგრაციის საერთაშორისო
ორგანიზაცია
IOM ქ.რიგის ბიურო
ANO სახლი, პილს ქუჩა 21, LV-1050, ქ.რიგა
ტელ.: (+371) 67503627
ელ-ფოსტა: imezs@iom.int
www.iom.int
facebook.com/IOM
twitter.com/UNmigration

UNHCR

UNHCR ჩრდილოეთ ევროპაში
Wenner-Gren Center, Sveavägen
166, მე -15 სართული
11346, სტოკჰოლმი
SWEDEN
ტელეფონი: +46 10 10 12 800
ფაქსი: +46 8 457 48 97
ელ.ფოსტა: swest@unhcr.org
https://www.unhcr.org/neu/

შენიშვნები

შენიშვნები

შენიშვნები


3
ქ.რიგა
(Rīga)
მუცენიეკი
(Mucenieki)
5
ქ.დაუგავპილს
(Daugavpils)
1
Čiekurkalna პირველი ხაზი
Čiekurkalns
Brīvības iela
A. Čaka iela
4
Rūdolfa ქუჩა
Grīziņkalns
Lāčplēša ქუჩა
Stabu ქუჩა
6
9
7
8
2
Valmieras iela
Pils ქუჩა
Vecrīga
Aspazijas ბულვარი